სენაკის მუნიციპალიტეტის მერია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის

2025 წლის საქმიანობის ანგარიში

2026 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ზოგადი მიმოხილვა 3
2. სამართლებრივი ბაზა 4
3. აუდიტის სამსახურის მისია 5
4. შიდა აუდიტორული საქმიანობის დამოუკიდებლობა.....6
5. შესავალი.....6
6. შიდა აუდიტის მიზნები 7
7. განხორციელებული სამუშაოები 7
8. 2025 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგები.....9
9. გამოვლენილი ხარვეზები და გაცემული ძირითადი რეკომენდაციები 11
10. ინსპექტირების განყოფილების მიერ შესრულებული საქმიანობა.....31
11. სენაკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის გარე შეფასების შედეგები....31
12. მომავლის ხედვა და გამოწვევები.....32
13. აუდიტორული საქმიანობით ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა.....32
14. კვალიფიკაციური თანამშრომლების მოზიდვა-შენარჩუნება.....32
15. რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლები.....33

3. ზოგადი მიმოხილვა

შიდა აუდიტი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ნაწილია და არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესების და მისი მიზნების უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანის სრულყოფილად შესრულებისაკენ. თანამედროვე მზარდი ორგანიზაციის სტაბილურობა და გრძელვადიანი წარმატება წარმოუდგენელია, თუ მისი მმართველობის სისტემაში სათანადო ადგილი არ უკავია რისკის მართვას. ის იგეგმება, ხორციელდება, კონტროლდება და მუდმივად იხვეწება იმისთვის, რომ გაიზარდოს ორგანიზაციის წინაშე არსებული ყველა მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაწესებულების შიგნით არსებობდეს წარმატებული დაწესებულების ამოცანებზე ორიენტირებული მმართველობა. შესაბამისად სამსახურმა განახორციელა სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, ფინანსური მართვის და კონტროლის შეფასება ეკონომიურობის ეფექტიანობის და ეფექტურობის გათვალისწინებით. ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების შესახებ რეკომენდაციების ჩამოყალიბება და მათი შესრულების მონიტორინგი. შიდა აუდიტორულმა ღონისძიებებმა მოიცვა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სრტუქტურულ ერთეულებსა და მუნიციპალიტეტში შექმნილი იურიდიული პირების საქმიანობის შეფასება, მათზე რეკომენდაციების გაცემა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

შიდა აუდიტის ძირითადი ფუნქციაა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის თანმდევი რისკების დადგენა და შეფასება არსებული პრობლემების დროულად გამოვლენისა და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციის მიზნით.

2. სამართლებლივი ბაზა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობის წარმართვისას მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში შემდეგი სამართლებრივი ნორმატიული აქტების საფუძველზე;

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ".

- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სტრატეგიული დოკუმენტი

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ."

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1016 „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ."

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ."

- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის დებულება.

- სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

შიდა აუდიტის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტში შეაფასოს და გააუმჯობესოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რისკების მართვის ეფექტიანობა, რაც შესაბამისად გააუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას.

3. აუდიტის სამსახურის მისია

აუდიტის სამსახურის მისიაა დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შეიქმნას ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის.

ხედვა

ჩვენი ვალდებულებები შევასრულოთ კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

ღირებულებები

დამოუკიდებლობა

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებს.

პროფესიონალიზმი

ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმათავენ პროფესიონალიზმის, კეთილსინდისიერების და ეთიკის შესაბამისად.

ობიექტურობა

ჩვენი საქმიანობა ემყარება სამართლიანობის, სანდოობის და ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

4. შიდა აუდიტორული საქმიანობის დამოუკიდებლობა

შიდა აუდიტის სამსახურს საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისას მერისგან ჰქონდა სრული ორგანზაციული საქმიანობის განხორციელების დამოუკიდებლობა. რამაც ხელი შეგვიწყო საქმიანობის განხორცილებისას გვქონოდა შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა აუდიტის ობიექტის საქმიანობაზე, შეგვძლებოდა სისტემის იდენტიფიცირება, პროცედურების შეფასება და შიდა აუდიტორული საქმიანობის სრულყოფილად განხორციელება.

აუდიტის სამსახურს სრული დამოუკიდებლობა გვქონდა დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგების და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში. აუდიტის განსაზღვრისას, სამუშაოს განხორციელებისას და შეთანხმების პროცესში შიდა აუდიტორულ მოქმედებებში არანაირი ჩარევის შემთხვევა არ ყოფილა.

5. შესავალი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშში ასახულია სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობა, რომელმაც უზრუნველყო შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილების ამოცანების და მიზნების შესრულების განხორციელება.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის" მიხედვით შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინირებული და ორგანზიაციული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტურობას. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანი საანგარიშო პერიოდში იყო ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის, რისკების მართვის ეფექტიანობის შეფასება და მათი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობამ მოიცვა დაწესებულების მთელი რიგი აქტივობების და პროცესების სხვადასხვა სფერო, რათა უზრუნველყო ფინანსური მართვის და კონტროლის შესაბამისობა მიზნებთან, წესებთან და სტანდარტებთან ასევე გონივრული მართვის პრინციპებთან.

სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და დასკვნებში შეფასებებზე დაყრდნობით გაცემული რეკომენდაციები მიზნად ისახავდა საჯარო დაწესებულების მართვის პროცესების გაუმჯობესებას, დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის ხელისშეწყობას.

მერიის შიდა აუდიტორულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო დაწესებულების რისკების გამოვლენას, შეფასებას, მართვას და კონტროლის სისტემების გაუმჯობესებას.

6. შიდა აუდიტის მიზნები :

- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაწესებულების წინაშე მდგარი რისკების შეფასების საფუძველზე შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმის მომზადება
- დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად ფინანსური მართვის და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით.
- ხელმძღვანელის ინფორმირება მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი.

7. განხორციელებული სამუშაოები

მერიის შიდა აუდიტის 2025 წლის საქმიანობის სამუშაო გეგმა

მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის სამუშაო გეგმა შედგა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის“, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სასმახურის დებულების შესაბამისად.

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ჩამოყალიბება მერიის პრიორიტეტული მიმართულების გათვალსიწინებით დაეყრდნო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის ობიექტების შერჩევის რისკზე დაფუძნებული მიდგომის ორგანიზაციულ კრიტერიუმებს, რომელბიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს, როგორც ცალკეულ უწყებების მართვაში არსებული ნაკლოვანებები, ისე სისტემური ხარვეზები. წლიური გეგმის მიხედვით ობიექტების შემოწმების პერიოდულობა და მოცულობა დაეფუძნა წინა აუდიტორული შემოწმების შედეგებს, გამოვლენილ მნიშვნელოვან გარემოებებს და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანალიზს.

წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად შიდა აუდიტის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში განახორციელა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების მენეჯერული და ფინანსური კონტროლი, სამსახურებრივი გადაცდომები და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმების და აღმოჩენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმების ღონისძიებები.

წლიურ სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულ იქნა მონიტორინგის განხორციელების პერიოდი და მონიტორინგისათვის საჭირო რესურსების გადანაწილება. მონიტორინგის მიზანია უზრუნველყოს შემოწმების შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელების მდგომარეობის კონტროლი. 2025 წელს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაიგეგმა შიდა აუდიტორული შემოწმებები შემდეგ აუდიტის ობიექტებში :

- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური. შესაბამისობა.
- ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება. შესაბამისობა.
- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. შესაბამისობა.
- ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი. შესაბამისობა.
- სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური. შესაბამისობა.

ამასთანავე შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წელს დაიგეგმა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლის განხორციელება.

მერიის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება.

კომპეტენციის ფარგლებში შემოსულ წერილებსა და კორესპოდენციებზე რეაგირება საჭიროებისამებრ.

რეკომენდაციების ადეკვატურობის, ეფექტიანობის და დროულობის შესაფასებლად მერიის შიდა აუდიტის სამსახური 2025 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული იქნა აუდიტორულ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი შემდეგ ობიექტებში :

- ✓ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრი. შესაბამისობა.
- ✓ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი. ეფექტიანობა.
- ✓ შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფო. შესაბამისობა.
- ✓ შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთანება". შესაბამისობა.
- ✓ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება. შესაბამისობა.

8. 2025 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შედეგი :

საანგარიშო პერიოდში მერიის შიდა აუდიტის სამსახურს დაგეგმილი ჰქონდა მერიის მიერ დაფუძნებული სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და ორი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების განხორციელება.

შემოწმება მიზნად ისახავდა შესამოწმებელი ობიექტების მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან, საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობის, განხორციელებული ფინანსური ანგარიშგების და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობის მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობის, ამ პროცესებთან არსებული კონტროლის ეფექტურობის შეფასების, რისკების იდენტიფიცირების და რისკების მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას. შემოწმება შეეხო საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას, საკუთარ შემოსავლებს, მცირეფასიან და ძირითად აქტივებს, ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად. 2025 წლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა ასევე შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად მიღებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.

- 2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა 05.03. – 11.04 განახორციელა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი. მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

- 2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა 22.05 – 30.06 განახორციელა (ა)აიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების შესაბამისობის აუდიტი. მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

- 2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა 10.07 – 05.08 განახორციელა (ა)აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შესაბამისობის აუდიტი. მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

- 2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა 12.09 – 20.10 განახორციელა (ა)აიპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის შესაბამისობის აუდიტი. მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

- 2025 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა 05.11 – 08.12 განახორციელა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი. მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

✓ 2025 წლის 20 – 28 თებერვალს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შიდა აუდიტორულ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრი. რაზეც მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

✓ 2025 წლის 25.04 – 08.05 მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შიდა აუდიტორულ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი. რაზეც მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

✓ 2025 წლის 01 – 08 ივლისს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შიდა აუდიტორულ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფო. რაზეც მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

✓ 2025 წლის 01 – 09 სექტემბერს მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შიდა აუდიტორულ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთანება“. რაზეც მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

✓ 2025 წლის 27.10 – 03.11 მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა შიდა აუდიტორულ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება. რაზეც მომზადდა შესაბამისი ანგარიში.

9. გამოვლენილი ხარვეზები და გაცემული ძირითადი რეკომენდაციები :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

კრიტერიუმი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს:

- მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს და ზედამხედველობას;
  საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას; ფარული სამუშაოების შესრულებაზე დაკვირვებასა და შესაბამისი აქტის დამოწმებას; მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისობაზე კონტროლს.წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების განხილვას და შესაბამის რეაგირებას. (მუხლი 2, ,,ჟ" ქვეპუნქტი)
- 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრატსრუქტურულ პროექტებზე აკრედიტებული A ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობას. მუხლი 2 ,,ტ" ქვეპუნქტი.

დებულებით და კანონმდებლობის შესაბამისად სამსახური უფლებამოსილია: კანონმდებლობით დადგენილი წესით შევიდეს და განახორციელოს კონტროლი მის საზედამხედველო ობიექტებზე ტექნიკური და სამშენებლო ნორმების და წესების დაცვასა და შესრულებაზე. შემოწმების პროცესში მოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია. (მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი 1).

ფაქტობრივი გარემოება 1: 2024 წლის 13 მარტს ხელშეკრულება N70 გაფორმდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,მშენებელს'' შორის 234798,74 ლარის ღირებულების გამარტივებული შესყიდვა.

შპს ,,მშენებელმა''2024 წლის 30 მაისს მიმართა მერიას გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებაზე თანხმობის მისაღებად წარადგინა გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. ანაკრები რკინა ბეტონის ღია არხის მოწყობა (ღორღის ბალიშის მოწყობა) ნორმატიული რესურსით 0.840 მ^3, ანაკრები რკ/ბეტონის არხის მოწყობა შიდა ზომით 0,4 x 0,4 კედლის სისქე 10 სმ - 1.68 მ^3.

31 მაისს შპს ,,თი აი ეი ჯი აუდიესკორტის'' A- ტიპის ინსპექტირების ორგანო წერს, რომ არ არის წინააღმდეგი ზ/აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე და აღნიშნული სამუშაოების დადასტურებას განახორციელებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაო მოცულობების მიხედვით.

2024 წლის 31 მაისის ხელშეკრულებით მერია თანხმობას აცხადებს,რომ მიზანშეწონილად მიაჩნია ზ/აღნიშნული სამუშაოების ღირებულების გამოყენება.

შპს ,,თი აი ეი ჯი აუდიესკორტის" 2024 წლის 13 ივნისით დათარიღებული ინსპექტირების ანგარიშში (TA-TS-IR-161-24) წარმოდგენილ ზედამხედველობის პროცესში დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტით 1/12 დადებული ზ/აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია 12-23 მაისს კერძოდ: ღორღის ბალიშის მოწყობა 0,840 მ³, ანაკრები რკ/ბეტონის არხის მოწყობა ზომით 0,4 x 0,4 კედლის სისქე 10სმ 1.68 მ³.

ფაქტობრივი გარემოება 2: 4 ოქტომბერი 2024 ხელშეკრულება N22 ახალსოფლის ტერიტორიის მოშანდაკება 1000 კვ.

ფარული სამუშაოს აქტით N1/0 შესრულებულია გაუთვალისწინებელი სამუ

შაო-ტერიტორიის მოშანდაკება მექანიზმით 500მ³

აღნიშნული სამუშაოს შესრულების აუცილებლობაზე შემსრულებელმა მერს წერილი გაუგზავნა 16 ოქტომბერს და წარადგინა ხარჯთაღრიცხვა ახალსოფლის ტერიტორიის მოშანდაკების მექანიზმით 500მ²

ინსპექტირების ანგარიშის (11 ნოემბერი, 2024) ფარული სამუშაოების აქტებით: ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში შესრულებულია 7-8 ოქტომბერს

ზანაში - 14 ოქტომბერს

მენჯი - 6-7 ოქტომბერს

ქალაქი - 7 ოქტომბერი

ხორში - 12-13 ოქტომებრი

ფაქტობრივი გარემოება 3: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების N 185 თანახმად (30,08,2024) სოფელ ბეთლემში არსებული ბეწვის ხიდის სარეაბილიტაციო და გარე განათების მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად შედგენილი კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ხიდზე ფენილის მოწყობაზე დახერხილი აკაციის მასალით (არსებულის დემონტაჟი) ნორმატული რესურსი შეადგენს ერთეულზე 1,0 მ³-ს , ნორმატიული რესურსი ხარჯთაღრიცხვაში სულ წერია 1,38მ³. უნდა იყოს 1,65მ³. ვინაიდან აღნიშნული გასაკეთებელია 1,65 მ³ ზე.

აკაციის ძელი ნორმატიული რესურსი ერთეულზე შეადგენს 1,0მ³-ს, ხარჯთაღრიცხვაში სულ შეადგენს 0,27მ³-ს და უნდა იყოს 0,44მ³. ვინაიდან ზ/აღნიშნული გასაკეთებელია 1,65 მ³-ზე.

აღნიშნულ ხელშეკრულებაზე არ არის წარმოდგელი შესაბამისი დოკუმენტაცია: ექსპერტიზის დასკვნა, მიღება-ჩაბარება, ყიდვის აქტები.

5 დეკემბრის შეთანხმება N 1 ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ვადა განისაზღვროს 2024 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით ნალექი აღინიშნა შემდეგ თარიღებში: 19,20,21,22,24,25,26 და 27 ოქტომბერი 20,22,24,25,26,27,28 და 29

ფაქტობრივი გარემოება 4: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 186 (30.08.2024) შესყიდულ იქნა სტადიონისა და ბიბლიოთეკის ეზოს გამიჯვნა მავთულღობით, ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაო.

ხელშეკრულების ლოკალური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ლამინირებული იატაკის მოსაწყობად ნორმატიული რესურსი სულ შეადგენს 50, 0 m^2 -ს. რაზეც პლინტუსის მოსაწყობად ნორმატიულმა რესურსმა ერთეულზე შეადგინა 1.07 მ, სულ 63.00 მ, უნდა იყოს 53,5 მ (სხვაობა შეადგინა 9,5 მ)

გაუთვალისწინებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვაში იგივე ლამინირებული იატაკის მოსაწყობად ნორმატიული რესურსი შეადგენს სულ 7,55 m^2-ს პლინტუსის მოსაწყობად ნორმატიულმა რესურსმა ერთეულზე შეადგინა 1.07მ, სულ 63.00მ. უნდა იყოს 8,1მ . (სხვაობამ შეადგინა 51,8მ).

ფაქტობრივი გარემოება 5: არცერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზე შედგენილი ფარული სამუშაოების აქტები სამსახურის მიერ არ არის დადასტურებული.

რეკომენდაცია 1: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა სამსახურის დებულების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი. მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოს შესრულების მიზნით შეიმუშაოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაო და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცესის სათანადოდ წარმართვას. ამასთან, შეისწავლოს საპროექტო-სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზებისა და უზუსტობების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

რეკომენდაცია 2: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა პერიოდული შემოვლისას ობიექტებზე დაადოკუმენტიროს საექსპერტო ორგანიზაციები რამდენად უზრუნველყოფენ სამშენებლო სამუშაოების შემოწმებას და რამდენად შეესაბამება მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ობიექტზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებას. ობიექტზე შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“

კრიტერიუმი: სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა, სპორტში მაღალი მიღწევების განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.სპორტული ინფრასტრუქტურა სპორტის სისტემის მატერიალური ბაზაა, რომლის შექმნისა და განვითრების გარეშე შეუძლებელია სპორტის გაერთიანების მიზნის განხორციელება.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის ჯგუფმა სპორტულ ობიექტზე ხელმისაწვდომობის მიზნით გაანალიზა სპორტული ღონისძიებების მიმართულებით სასპორტო გაერთიანების საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის სარგებლობისთვის დაწესებული ტარიფები და მათი დატვირთვა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ობიექტების საშუალო დატვირთვა მნიშვნელოვნად დაბალია მიუხედავად იმისა, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის დაქირავება ფინანსურად ხელმისაწვდომია.
ობიექტის ქირავნობაზე დაწესებულია 35 ლარი, რაზეც გაერთიანებამ წარმოადგინა შპს „ეგარის“ აუდიტის დასკვნა (2012, 3 იანვარი) რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანების ბალანსზე რიცხული სპორტის სასახლის დარბაზის და ტრენაჟორების მომსახურების ქირის განსაზღვრა მოხდა საათობრივი მომსახურების მიხედვით.
ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“-ს 2024 წლის საანაგრიშო პერიოდში ზ/აღნიშნული მომსახურება გაწეული აქვს მხოლოდ ოთხ შემთხვევაში, რომელთაგან ორ შემთხვევაში გაქირავებიდან მიღებულია განსაზღვრულზე ნაკლები თანხა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ გაერთიანებას არ გააჩნია საშხაპე-ინფრასტრუქტურა.
ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა და შესაბამისად მომსახურეობის დაბალი ხარისხი აისახება დამქირავებლის მსურველთა რაოდენობრივ მაჩვენებელზე.მიუხედავად იმისა, რომ ზ/აღნიშნულ მომსახურებაზე ტარიფი 2012 წლის შემდეგ არ არის შეცვლილი, დამქირავებლის რაოდენობა წლიდან წლამდე დაბალია.

რეკომენდაცია 1: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებამ“ მის საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურით სრულყოფილად სარგებლობის მიზნით შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი რითაც უზრუნველყოფს განახლებულ ინფრასტრუქტურას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის შემდგომ განვითარებას და გაერთიანებისთვის საკუთარი შემოსავლების ზრდას.

კრიტერიუმი : ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებას“ უნდა გააჩნდეს რაციონალური მიდგომა მისი ფუნქცინირებისთვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, რითაც ის უზრუნველყოფს საბიუჯეტო ასიგნების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვას.

ფაქტობრივი გარემოება 1: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ მიერ საწვავის ყოველდღიური ხარჯვის პროცესის შესწავლისას გამოვლინდა,რომ 2024 წლის ივლისის თვეში, კერძოდ 27 ივლისს ავტოსატრანსპორტო საშუალებას სახ. ნომრით SA 668 AA 12:22 საათზე ჩასხმულია 30 ლიტრი საწვავი, 12:24 საათზე ჩასხმულია 50 ლიტრი საწვავი, 12:45 საათზე 15 ლიტრი. ჯამში 95 ლიტრი, რომელიც აღემატება ზ/აღნიშნული ავტომანქანის ავზის ტევადობას. იმავე დღეს 19:12 საათზე და 19:45 -ზე ჩასხმულია იმავე ავტომანქანაში დამატებით 40 ლიტრი საწვავი.

2024 წლის 29 მარტს ავტომობილზე SA668AA 09:13 საათზე ჩასხმულია 50 ლიტრი საწვავი, 11:02 ზე 19 ლიტრი, 13:01 სთ-ზე 10 ლიტრი, 19:23 სთ-ზე 11 ლიტრი. ჯამში 90 ლიტრი.
2024 წლის 29 ივნისს 21:55 სთ-ზე სახელმწიფო ნომრით SA 668 AA ავტომანქანას ჩასხმული აქვს 10 ლიტრი საწვავი, 22:32 სთ-ზე 30 ლიტრი, 22:42 სთ-ზე 32 ლიტრი საწვავი- ჯამში 72 ლიტრი.
2024 წლის 30 მარტს იმავე ავტომობილს 02:53 სთ-ზე ჩასხმული აქვს 28 ლიტრი საწვავი, 22:27 სთ-ზე 47 ლიტრი საწვავი.
2024 წლის აგვისტოს თვეში ზ/აღნიშნულ ავტომობილს 19:56 სთ-ზე ჩასხმული აქვს 20 ლიტრი საწვავი, 21:53 სთ-ზე 30 ლიტრი, 22:59 სთ-ზე 36 ლიტრი ჯამში 76 ლიტრი. 29 აგვისტოს 01:59 სთ-ზე ჩასხმული აქვს 34 ლიტრი საწვავი.
2024 წლის 23 დეკემბერს 09:49 სთ-ზე ზემო აღნიშნულ ავტომობილს ჩასხმული აქვს 50 ლიტრი საწვავი, 20:17 სთ-ზე 50 ლიტრი, ჯამში 100 ლიტრი, რომელიც ავტომობილის ავზის ტევადობაზე მეტი მოცულობისაა.
გაერთიანებამ ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, რამდენად უკავშირდებოდა აღნიშნული საწვავის გამოყენება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას.
ასევე გამოვლინდა რომ ხშირ შემთხვევაში, როცა ავტორიზებულ ავტომანქანაზე დროის მცირე ინტერვალებით ჩასხმული საწვავის მოცულობა აღემატება ავტომანქანის ავზის მოცულობას აღნიშნული წარმოშობს რისკს, რომ საწვავი გამოიყენებოდა არასამსახურეობრივი დანიშნულებით.
საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის კონტროლს.

ფაქტობრივი გარემოება 2: სასპორტო გაერთიანებაზე რიცხული მიკრო ავტობუსი NN 212 CN 2024 წელს მიღებული და გახარჯული საწვავის აღრიცხვის დოკუმენტში 1 თებერვლისთვის ნაშთი ჰქონდა 78,7 ლიტრი საწვავი. 1 თებერვალს ჩაასხა 30 ლიტრი საწვავი, ჯამში 108 ლიტრი საწვავი, რომელიც ზ/აღნიშნული სატრანსპორტო სასუალების ავზის მოცულობაზე მეტია.

რეკომენდაცია 2: ა(ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებამ" გამოიჩინოს რაციონალური მიდგომა მის ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის რისკს.

კრიტერიუმი: სპორტის ხელშეწყობის, სპორტის სხვადასხვა სახეობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით მიზანშეწონილია მოქმედი სპორტსმენების სხვადასხვა რესპუბლიკურ,რეგიონალურ,საერთაშორისო ტურნირებში საპრიზო ადგილის მქონე სპორტსმენთა წახალისება. წახალისების ოდენობა და ფორმა დგინდება სპეციალური წესის შესაბამისად. ფულადი ჯილდოს დაბეგვრის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

ფაქტობრივი გარემოება: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" დირექტორის ბრძანების შესაბამისად ფულადი ჯილდოს სახით წახალისებას ექვემდებარება საქართველოს, მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიურ ჩემპიონატებში გამარჯვებული სპორტმენები.
ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" მიერ სპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებელია პრემიის გაცემა საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებზე და მწვრთნელ-მასწავლებლებზე სპორტსმენთა დაოსტატებაში შეტანილი წვლილისათვის.
ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება" საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე გაცემულ ჯილდოზე ავრცელებს საგადასახადო შეღავათს და არ უკავებს საშემოსავლო გადასახადს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გადასახადისგან განთავისუფლებულია ოლიმპიურ თამაშებში, საჭადრაკო ოლიმპიადებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში, ევროპის თამაშებში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში ან/და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების, აგრეთვე საქართველოს ნაკრები გუნდების საექიმო პერსონალის მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები, აგრეთვე საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და ცალკეულ სათამაშო სახეობებში სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისათვის, აგრეთვე საექიმო პერსონალისათვის დაწესებული სხვა ფულადი პრიზები;

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებას" საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტმენებსა და მათ მწვრთნელებზე გაცემულ ფულად ჯილდოზე არ უნდა განეხორციელებინა საგადასახადო შეღავათი.

რეკომენდაცია 3: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებამ" საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე წახალისების გაცემისას იხელმძღვანელოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით და მთავრობის შესაბამისი დადგენილებით. ზ/აღნიშნული რეკომენდაცია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში გაცემულ რეკომენდაციაშიც იყო ასახული,მაგრამ გაერთიანების მხრიდან რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

3. ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

კრიტერიუმი: ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის კანონის თანახმად, ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად. ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშო წლის ბოლოს. შედეგების გამოსავლენად ბუღალტერი ადგენს შესაბამის შედარების უწყისებს, სადაც აისახება ინვებტარიზაციის შედეგები და სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვებტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს შორის.

ფაქტობრივი გარემოება: 2024 წელს ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს" არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის ჩატარებაზე არ გამოცემულა შესაბამისი ბრძანება.

რეკომენდაცია 1: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა" თავის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე განახორციელოს ქონების დაცულობაზე კონტროლი. ამ მიზნით ჩაატაროს კანონით მოთხოვნილი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რათა არ დარჩეს რისკი ცენტრის ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მოხდეს მასზე შესაბამისი რეაგირება.

კრიტერიუმი: ხელშეკრულების პირობების განხორციელების აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების მოთხოვნის დაცვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ვალდებულების დროული და ხარისხიანი შესყიდვის განხორციელება.

ფაქტობრივი გარემოება: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა" 2024 წელს ხელშეკრულება გააფორმა შპს ,,ეკომედთან", ხელშეკრულების საგანი იყო შესბამისი მომსახურეობის გაწევა, კერძოდ სააქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის N294 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტის, კერძოდ, დამკვეთის მიერ სამედიცინო დაწესებულებაში შეგროვილი სამედიცინო არასარისკო და სარისკო ნარჩენების, ასევე ფარმაცევტული ნარჩენების სეპარირებულ და მარკირებულ მდგომარეობაში მიწოდება შპს ,,ეკომედისათვის", შემდგომში მათი განადგურების მიზნით. ხელშეკრულების პირობის თანახმად მუხლი 4, 4.1 პუნქტის თანახმად მომსახურეობის მიღება-ჩაბარება უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით.

ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობით მოთხოვნილი მიღება-ჩაბარების აქტი.

რეკომენდაცია 2: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა" უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობის შესრულების ამსახველი დოკუმენტის სრულყოფილი სახით შექმნა, რათა უფრო მეტად იყოს კონტროლირებული სამედიცინო დაწესებულებაში ნარჩენების მართვის კანონმდებლობით მოთხოვნილი რეგულაციების დაცვა.

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურება. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი, რომლითაც უნდა განისაზღვროს მომსახურეობის გაწევისთვის საჭირო მასალა და სამუშაო, რომლის შესრულების შედეგად დამკვეთი მიიღებს დროულ და ხარისხიან სერვისს.

ფაქტობრივი გარემოება: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა" 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით შეისყიდა მომსახურება. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული რა რაოდენობის მომსახურების გაწევა შეისყიდა ცენტრმა. ხელშეკრულბას არ მოყვება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დანართი. ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი გაწეული მომსახურეობის საჭიროების შესახებ, კერძოდ ხარჯთაღრიცხვა.

რეკომენდაცია 3: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა" უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურება. მიღწეულ იქნას შესყიდული სამუშაოს მომსახურეობის სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის დადგენა.

4. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი.

კრიტერიუმი: მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების მოთხოვნაა მხარეებმა დაიცვან ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები.

ფაქტობრივი გარემოება: თხოვების ხელშეკრულების პირობების თანახმად ,,გამნათხოვრებელი" უსასყიდლოდ-დროებით სარგებლობაში გადასცემს ,, მონათხოვრეს" მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრისთვის უსასყიდლოდ უზუფრუქტით გადაცემული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებულ ფართს.

ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ,,მონათხოვრე" ვალდებულია აანაზღაუროს კომუნალური ხარჯები და გადაიხადოს ელექტროენერგიის გადასახადი.

შესამოწმებელ პერიოდში მოქმედებდა წინა წლებში გაფორმებული 2 ხელშეკრულება.თხოვების საგანია 12,5 კვ.მ და 25 კვ.მ ფართი. გამოვლინდა, რომ ორივე შემთხვევაში თხოვებით გაცემულ ფართებზე კომუნალური ხარჯების გადახდის ვალდებულება მოიჯარის მიერ არ შესრულებულა და ანაზღაურებულია ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის მიერ.

დასკვნა: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის'' მიერ თხოვების ხელშეკრულებით გაცემულ ფართზე კომუნალური ხარჯების ანაზღაურება მოახდინოს მხარემ, რომელმაც ხელშეკრულებით იკისრა ფართის განკარგვის ვალდებულება.

რეკომენდაცია 1: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრმა'' განახორციელოს, მასზე უსასყიდლოდ უზუფრუქტით გადაცემული და მის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე, თხოვების ხელშეკრულების პირობით მოთხოვნილი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები.

კრიტერიუმი: ა(ა)იპა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის წესდების თანახმად სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამებში დამატებითი მოსწავლეების მოზიდვისა და სწავლების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას ფასიანი ჯგუფები.

ფაქტობრივი გარემოება:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილია ფასიანი ჯგუფი ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა". ჯგუფის შექმნის მიზანი, მიმართულებები, ორგანიზების ფორმები ჩამოყალიბებულია ,,ხელოვნების საკვირაო სკოლის" შემოქმედებითი განვითარების პროექტში.

პროექტის მე-6 მუხლის თანახმად: ჯგუფებში ჩართულ მონაწილეთა სასწავლო პროცესი და საგაკვეთილო ცხრილი დგინდება მოსწავლის მშობლის და შესაბამისი პედაგოგის ურთიერთშეთანხმებით. შესაძლებელია დღეების შერჩევა, სასწავლო კვირაში არაუმცირეს ერთი გაკვეთილისა.

,,ხელოვნების საკვირაო სკოლაში'' სწავლა ფასიანია. სწავლის საფასური ჯგუფების მიხედვით შეადგენს თვის განმავლობაში 20-25 ლარს. ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სასწავლო პროცესისათვის განსაზღვრული საგაკვეთილო ცხრილი. წარმოდგენილი ყოველთვიური სწავლის საფასურის გადახდის აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით ცალკული თვეების მიხედვით მოსწავლეების მხრიდან არ არის გადახდილი სწავლის საფასური. ცენტრის მხრიდან აღნიშნულზე რაიმე სახის ღონისძიება არ გატარებულა.

დასკვნა: „ხელოვნების საკვირაო სკოლის" სასწავლო პროცესის ორგანიზებაში გამოვლენილი ხარვეზები,როგორიცაა გაკვეთილის გრაფიკის, ცხრილის, სიხშირის არქონა ვერ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს სათანადო კონტროლს.
სწავლის საფასურის გადახდაზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობა წარმოშობს პროექტის მიზნის არა ჯეროვნად განხორციელების რისკს.

რეკომენდაცია 2: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრმა'' მის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით უზრუნველყოს გაკვეთილების გრაფიკის, ცხრილის, სიხშირის ამსახველი დოკუმენტების შექმნა. ასევე შეიმუშაოს ისეთი კონტროლის ღონისძიებები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლის საფასურის სრულად გადახდევინება.

კრიტერიუმი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი" დაფუძნებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ცენტრის სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო გეგმისა და პროგრამების საფუძველზე.

ცენტრი საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოება:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესასაბმისად ცენტრში ხორციელდება შემდეგი დაწყებითი სახელოვნებო-საგანმანალებლო პროგრამები:

ა)საფორტეპიანო

ბ)საორკესტრო
გ)საესტრადო
დ)კლასიკური გიტარა (ფასიანი პროგრამა)
ე)ქართული ხალხური საკრავები (ფასიანი პროგრამა)
ვ)სამხატვრო განათლება
ზ)კლასიკური ბალეტი (ფასიანი პროგრამა)

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი ფაქტობრივად ახორციელებს:

ა) ფორტეპიანო	(ფასიანი)
ბ)საორკესტრო	(ფასიანი)
გ)საგუნდო -სადირიჟორო	(ფასიანი)
დ)საესტრადო	(ფასიანი)
ე)კლასიკური გიტარა	(ფასიანი)
ვ)ქართული ხალხური საკრავები	(ფასიანი)
ზ)სამხატვრო სკოლა	(ფასიანი)

ცენტრის წესდება შეუსაბამობაშია ცენტრში განხორციელებულ საქმიანობასთან. წესდებაში აღნიშნული კლასიკური ბალეტი ცენტრში არ ფუნქციონირებს. წესდების თანახმად ფასიანი პროგრამა მხოლოდ კლასიკური გიტარისა და ქართული ხალხური საკრავების ჯგუფშია, როცა ცენტრის ყველა პროგრამა ფასიანია.

რეკომენდაცია 3: განახლდეს ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის'' წესდება, რომელშიც მკაფიოდ აისახება სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და ფორმა. აღმოფხვრას შეუსაბამობა, სადაც ცენტრის წესდებაში სახელოვნებო პროგრამა უფასო სწავლებას ითვალისწინებს, ხოლო შესაბამისი სამართლებრივი აქტით იგივე პროგრამა ფასიანია.

5. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური.

კრიტერიუმი: საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის პრიორიტეტული სფეროა და მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც ეროვნულ,ისე რეგიონულ დონეზე. ტურიზმი დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სტაბილურ განვითარებასა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დასახული მიზნის მისაღწევად სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის და სტატისტიკის სამსახური ახორციელებს შესაბამის პროგრამებს და ღონისძიებებს.

ფაქტობრივი გარემოება:

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ხორციელდება ტურისტული ადგილების მოსაწყობად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და მათი მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, რომელიც განკუთვნილია მუნიციპალიტეტში ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში ტურისტებისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად..

დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციას.

2024 წელს პროგრამის დაგეგმვის დროს გამოვლენილი გარემოებები ადასტურებს, რომ შესაბამის სამსახურს პროექტის დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით აქვს ხარვეზები.

2024 წელს დაიგეგმა და ვერ განხორციელდა ნოქალაქევის ტურისტული ბილიკის მოკვლევისა და დაპროექტების დაგეგმილი ღონისძიება, რომელიც გამოწვეული იყო კულტურის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უარის გამო.

აღნიშნულზე მეტყველებს ისიც, რომ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები სრულად ვერ იქნა ათვისებული. შიდა ვიზიტორების მკვეთრად შემცირებულ რაოდენობაც მიანიშნებს,რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა შემდგომ განვითარებას მოითხოვს,რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მოითხოვს ტურიზმის პოლიტიკის, სტრატეგიების, პროგრამების შექმნას.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით შიდა ვიზიტორების მიერ ქ.სენაკის მონახულება 2021 წლიდან 2024 წლის ჩათვლით მკვეთრად შემცირებულია:

ჯამური რაოდენობა:

2021 წელი - 175,089

2022 წელი - 151,896

2023 წელი - 135,663

2024წელი - 69,719.

რეკომენდაცია 1: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურმა საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების განვითარების მიზნით პროექტები დაგეგმოს და განახორციელოს ყველა გარემოებისა და ზეგავლენის დეტალური ანალიზის შემდგომ, შესაბამისი სტრატეგიისა და განვითარების გეგმის მიხედვით.

კრიტერიუმი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლით: ,,იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გამოყენების შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებითაც.

ფაქტობრივი გარემოება: 2022 წლის 29 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულებით ,,მოიჯარეს" საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა ყოველთვიურად 1558,33 ლარი, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ,,მეიჯარის" მხრიდან დარღვეულია იჯარის ქირის ყოველთვიური გადახდის ვალდებულება. საიჯარო ქირის წლიურმა შემონატანმა 18700 ლარის ნაცვლად შეადგინა 11508 ლარი.

იჯარის ხელშეკრულება 2.5 (N1 29 დეკემბერი 2022) თანახმად ,,მოიჯარეს" საიჯარო ქირის გადასახდელად დადგენილ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაერიცხება საურავი, გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,1 %-ის ოდენობით.

მოიჯარე ვალდებულია (3.3 დ ქვეპუნქტით) უზრუნველყოს საიჯარო ქირის გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

ხელშეკრულების თანახმად ,,მოიჯარე" უფლებამოსილია ვადაზე ადრე გააუქმოს ხელშეკრულებები თუ ,,მეიჯარე" არღვევს ხელშეკრულების პირობებს (3.1), არ იხდის ქირას 3 თვის განმავლობაში (3.1)

ხელშეკრულების პირობის მოთხოვნის მიუხედავად ,,მეიჯარეს" ,,მოიჯარის" მიმართ არ განუხორციელებელია სანქციები.

ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებია დარღვეულია იჯარის ხელშეკრულება N2 23 აპრილი 2021 წელი. წლის დანაკლისი 990 ლარი.

მოქმედი ხელშეკრულებით ნაკისრი საიჯარო ქირა არ აქვს გადახდილი (25.07 2019 წელს ხელშეკრულება N2) ,,მოიჯარეს".

რიგ შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ქირის გადახდა დაგვიანებულია (ხელშ. N3 20 აგვისტო, 2018).

დასკვნა: საიჯარო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების, აგრეთვე მხარეთა შორის დადებული მიწის იჯარის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ქირის გადაუხდელობა იწვევს საიჯარო ხელშეკრულების გაუქმებას. მოიჯარის მიერ ქირის გადახდა მეიჯარისათვის არის იჯარის ხელშეკრულების დადების ძირითადი მოტივი.მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამ ვალდებულების შეუსრულებლობა საიჯარო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევაა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლას. ამ მიმართულებით სანქციები არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია 2: ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების ეფექტიანი და სარგებლიანი განკარგვის პრინციპებს.

ვადების და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო შემოსავლების, მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და ზრდას.

კრიტერიუმი: სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის (პროგრამული კოდი 0204) ითვალისწინებს კლიმატნეიტრალური გარემოს შექმნის მიზნით სასოფლო-სამეორნეო სავარგულების მიმდებარედ ქარსაფარი ზოლის მოწყობას, ტერიტორიის გამწვანებისა და მეტი ჟანგბადის მიღების მიზნით.

აღნიშნული მომსახურების შეძენა და გამოყენება უნდა განხორციელდეს მოქმედი მარეგულირებელი ნორმების სრული დაცვით.

ფაქტობრივი გარემოება: 2024 წლის 29 ნოემბრის N258 ხელშეკრულებით შეძენილ იქნა 4550,00 ლარის ნერგი. აღნიშნულზე წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება, ხელშეკრულების დანართი, მიღება-ჩაბარების აქტი. ვერ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი.

რეკომენდაცია 3: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სრულყოფილი დოკუმენტაციის, მათ შორის შესრულებული სამუშაოს აქტის შედგენა.

კრიტერიუმი: პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. თანხის მიმღები პასუხისმგებელია საქმიანობის განხორციელებაზე სამუშაო აღწერილობისა და ბიუჯეტის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოება: 2024 წლის 4 სექტემბერს ,,სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური ,,გაძლიერების მიზნით" სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში პროექტის განხორციელებისთვის დაიდო ხელშეკრულება N23/24; ხელშეკრულება N25/24.

ხელშეკრულების პირობების თანახმად:

3.1 პროექტის ბიუჯეტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და დასტურდება მხარეთა ხელმოწერით.

1.2 თანხის მიმღები პასუხისმგებელია სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული საქმიანობის მართვაზე, განხორციელებაზე, ხარისხის კონტროლზე, შიდა მონიტორინგსა და შედეგების შეფასებაზე, პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებზე სამუშაო აღწერილობისა და ბიუჯეტის შესაბამისად.

5.1.6 თანხის მიმღები ვალდებულია დაიცვას თანხის გამცემის ყველა მოთხოვნა ფულადი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებით.

თანხის გამცემს უფლება აქვს:

5.4.2 თანხის მიმღებს მოსთხოვოს სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების ყოველთვიური, შუალედური და საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიში.

სამსახურის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული სამუშაო აღწერილობით (ხარჯთაღღრიცხვა) გათვალისწინებული საქმიანობის დანართი N1, პროექტის ბიუჯეტი მხარეთა ხელმოწერით, ყოველთვიური, შუალედური და საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარში.

ფაქტობრივი გარემოება: 2024 წლის 4 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით (N 25/24) თნახმად ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 4 სექტემბრიდან და 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სხვაობა აღმოჩნდა სასაქონლო ზედნადებით წარმოდგენილ ფასსა და სალარო აპარატიდან ამოღებულ ფასს შორის. კერძოდ, სასაქონლო ზედნადები(ელ.0850944380), სადაც მითითებულია ,,ტრანსპორტირებით" საქონლის ფასი შეადგენს 360 ლარს, სალაროს ქვითრით იმავე საქონლის ფასი შადგენს 410 ლარს, იგივე მეორდება სასაქონლო ზედნადებით (ელ. 085098196- სა) და ზედნადებზე გამოწერილი ქვითრის შემთხვევაში. ამასთან დოკუმენტებში დევს 170 ლარიანი 29 მაისით დათარიღებული ქვითარი, როცა ხელშეკრულება დადებულია სექტემბრის თვეში.

რეკომენდაცია 4: საბიუჯეტო რესურსის რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით , სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურმა შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი და მონიტორინგის სისტემა, რომელიც

სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის პირობებში უზრუნველყოფს სამუშაოს ფაქტობრივი ხარჯის დაზუსტებას.

კრიტერიუმი: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის დირექტორის 2018 წლის 23 აპრილის N100 ბრძანების საფუძველზე“ შექმნილია მუშა-ჯგუფი, რომელმაც მარეგულირებელი ნორმების და წესის შესაბამისად უნდა გამოავლინოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამხმარი ხეები და უსაფრთხოების დაცვა, მიიღოს დაავადებული ხეების მოჭრის გადაწყვეტილება.

ა(ა)იპ იურიდიული პირის „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის" წესდების თანახმად ცენტრის საქმიანობას კოორდინაციას უწევს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახური.

ფაქტობრივი გარემოება: ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის დირექტორის 2018 წლის 23 აპრილის N100 ბრძანების საფუძველზე ქ.სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამხმარი ხეების გამოვლენისა და უსაფრთხოების დაცვის, ასევე დაავადებული ხეების მოჭრისა და შემდგომ შესაბამისი დასკვნის გამოტანის მიზნით შქმნილი მუშა-ჯგუფი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას აფორმებს აქტს, რომელსაც ხელს აწერს მუშა-ჯგუფის წევრები. გადაწყვეტილების მიღება ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, მუშა-ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერების და ფაქტის შესაწავლის შემდეგ. რიგ აქტში (აქტი N61 25.09.24) გადაწყვეტილება მიღებულია ფაქტის შესწავლის გარეშე. რიგ შემთხვევაში მუშა-ჯგუფი აქტში მიუთითებს, რომ ის მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ხეები დგას ტერიტორიაზე, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაა და აღნიშნავს, რომ ნებართვა უნდა ეთხოვოს ს.ს.ი.პ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

რა ბედი ეწია ზემო აღნიშნულ ხეებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახური ინფორმაციას არ ფლობს.

რეკომენდაცია 5: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურმა შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფს კოორდინაცია გაუწიოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაავადებული ხეების გამოვლენისა და უსაფრთხოების დაცვის, მათზე გადაწყვეტილების მიღების და შემდგომი რეაგირებისკენ მიმართული ღონისძიებების მოქმედი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების გატარებას.

2025 წლის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შედეგები :

1. **ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრი.**

რეკომენდაციის შესრულების შედეგი :

რეკომენდაცია 1: ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრმა დასაქმებულის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისას გაითვალისწინოს მოქმედი მარეგულირებელი ნორმებით დაწესებული სათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით დარიცხვის მოთხოვნები.

რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

რეკომენდაცია 2 ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრმა შეიმუშაოს დ დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სრულ ბაზის შექმნას, გადამხდელთა მონაცემების გათვალისწინებით განსაზღვროს გადასახდელი თანხის ოდენობა დ განახორციელოს სათანადო მონიტორინგი შემდგომი გადახდის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

რეკომენდაცია 3: ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრმა სატრანსპორტო საშუალებების მიერ საწვავის მარეგულირებელი ნორმების და წესის შესაბამისად გამოყენების მიზნით უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება. შესრულებულ სამუშაოებზე ცენტრმა წარმოადგინოს სრულყოფილი დოკუმენტაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამუშაოს მოცულობა, მანძილი, საწვავის ხარჯი და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი.

რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

რეკომენდაცია 4: ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრმა შეიმუშაოს დ
დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტიანი მარშრუტის დაგეგმვისა დ
ჩატარების განხორციელებას . ჩაატაროს თითოეული ეკიპაჟისა და სატრანსპორტო საშუალების დატვირთვი
ანალიზი, შეიმუშაოს ეკიპაჟის რუკები. აღნიშნული ცენტრს საშუალებას მისცემს მის ხელთ არსებულ
რესურსების ეფექტურად და რაციონალურად ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრების მიზანმიმართულად
გამოყენების შესაძლებლობას .

რეკომენდაცია შესრულებულია

2. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი.

რეკომენდაციის შესრულების შედეგი :

რეკომენდაცია N1 ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრმა უზრუნველყოს უფასო სასადილოსთვის მენიუს შედგენა სტანდარტის შესაბამისად, მენიუს შედგენაში ჩართოს სპეციალისტი. აღნიშნული უზრუნველყოფს მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებას და შესაბამისად პროგრამით მოსარგებლეთა კმაყოფილების დონის ამაღლებას.

რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

რეკომენდაცია N2 ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრმა შეისწავლოს ის შემთხვევები, როცა ოჯახის ყველა წევრი ვერ სარგებლობს ცენტრის სერვისით და მიიღონ შესაძლო ზომები მის გამოსასწორებლად.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია N3 ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრმა უზრუნველყოს თანამშრომელთა კვირაში ერთი დღით (კვირა დღე) დასვენება, ვინაიდან კვირა დღის მენიუ განსაზღვრულია მხოლოდ მშრალი საკვებით, პურითა და კვერცხით, ამასთან პურის მიღება ხორციელდება წინა დღეს (შაბათი) არ არსებობს კვირა დღეს ცენტრის თანამშრომელთა დატვირთვის აუცილებლობა.

რეკომენდაცია შესრულებულია.

3. **შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“.**

რეკომენდაციის შესრულების შედეგი :

რეკომენდაცია N1 შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფო“ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ჩაატაროს მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. აღნიშნული უზრუნველყოფს აქტივებზე ქმედითი კონტროლის მექანიზმების დანერგვას და აქტივების არამიზნობრივ გამოყენების რისკის შემცირებას.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია N2 შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფომ“ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სალაროს ოპერაციების რეესტრში ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად წარმოება.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია N3 შპს ,,სენაკის ბავშვთა სააავადმყოფომ'' ერთობლივი შემოსავლიდან თანხის გამოქვითვისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით .

რეკომენდაცია შესრულებულია.

4. **შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება“.**

რეკომენდაციის შესრულების შედეგები :

რეკომენდაცია N1 მედიკამენტებზე ფიზიკური ნაშთის დადგენისა, ფაქტიური მდგომარეობის აღრიცხვის, ფაქტიური და სააღრიცხო მონაცემების შედარების უზრუნველყოფის მიზნით გაერთიანებამ დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები. ჩაატაროს მოქმედი რეგულაციებით დადგენილი სავალდებულო ინვენტარიზაცია. დააწესოს მედიკამენტების აღრიცხვა-განაწილებაზე კონტროლი.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია N2 შპს „სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკურმა გაერთიანებამ“ უზრუნველყოს საბუღალტრო დოკუმენტაციის, კერძოდ სალაროს წიგნის მოქმედ მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი წესით შევსება. დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს სალაროს წიგნში შეტანილი მონაცემების უზუსტობების რისკს.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია N3 შპს ,,სენაკის სააავადმყოფო-პოლიკლინიკურმა გაერთიანებამ'' დანერგოს თანამშრომელთა ნამუშევარი დროის აღრიცხვის მიზნით ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანების შინაგანაწესის, შრომითი ხელშეკრულების, სამუშაო დროის აღრიცხვის ჟურნალის მოქმედ მარეგულირებელი ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას, თანამშომელებისთვის ხელფასის ნამუშევარი დროის შესაბამისად ანაზღაურებას.

რეკომენდაცია შესრულებულია.

5. **ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება.**

რეკომენდაციის შესრულების შედეგები :

რეკომენდაცია 1: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ“ მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე შექმნას დროში გაწერილი სტრატეგია, რომელიც იქნება თანმიმდევრული და

რომელშიც გათვალისწინებული იქნება განსახორციელებელი კონკრეტული ქმედებები, რათა უზრუნველყოფილ იყოს საქმიანობის შესრულების შეფასება. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბავშვო ბაღების რეფორმირების პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ დაკმაყოფილდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეფექტიანი ფუნქციონირების პრინციპი.

რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

ბაღებში ბავშვთა ჯგუფების განაწილებაში სტანდარტთან შეუსაბამობა გამოწვეულია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობით. ბაღების გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფართი ჯგუფების გასანაწილებლად.

რეკომენდაცია 2: შემეცნებითი და აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისთვის აუცილებელია შესაბამისი ინვენტარით ბაღების უზრუნველყოფა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ,, სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ" მოიძიოს ფინანსური რესურსი და შეიძინოს სათამაშოები და ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო ნივთები, აღნიშნული უზრუნველყოფს ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია 3: ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ" შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლითაც შესაძლებელი იქნება მიღებული და გახარჯული მცირეფასიანი აქტივის შედარების კონტროლის განხორციელება. აღნიშნული შეამცირებს გაერთიანების ქონების არამიზნობრივად გამოყენების რისკს. გამოვლენილ შეუსაბამობასთან დაკავშირებით გაერთიანებამ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, შემდგომში მსგავსი ფაქტების თავიდა აცილების მიზნით.

რეკომენდაცია შესრულებული.

10. ინსპექტირების განყოფილების მიერ შესრულებული საქმიანობა:

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის, ინსპექტირების განყოფილების თანამშრომლების მიერ 2025 წლის 1 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით ხორციელდებოდა მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივი კონტროლი. ამ პერიოდის განმავლობაში შემოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა 21 გაადაცდომის ფაქტი, რომლებზეც შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები და გადაგზავნილ იქნა შესაბამის სამსახურებში შემდგომი რეაგირებისთვის.

11. სენაკის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის შეფასების შედეგები

სათანადო ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად შიდა აუდიტორული საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება ხორციელდება სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ დამოუკიდებელი კვალიფიციური შემფასებლის მიერ ან შემფასებელთა ჯგუფის მიერ. 2021 წელს შიდა აუდიტის გარე შეფასება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) ინიციატივით.

შეფასებას დაექვემდებარა :

- შიდა აუდიტის სამსახურის დებულება და მისი გამოყენება პრაქტიკაში;
- შიდა აუდიტორული საქმიანობის მართვასთან დაკავშირებული საკითხები: სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა, რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულება მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქმედებები;
- შიდა აუდიტორების კვალიფიკაციასთან და უნარებთან, მათ უწყვეტ განვითარებასთან დაკავშირებული ქმედებები;
- შიდა აუდიტორული საქმიანობის პროცესი, ანგარიშგება, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

მიგნებებიდან გამომდინარე ხარისხის გარე შემფასებელის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტორული საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გაიცა რეკომენდაციები.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადდა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით,რომლის განხორციელების მიზნით სამსახურმა განახორციელა მთელი რიგი აქტივობები და **რეკომენდაციები სრულად შესრულებულია.**

12. მომავლის ხედვა და გამოწვევები

შედეგზე ორიენტირებული ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუდიტის სამსახური მუდმივად აანალიზებს ორგანიზაციის წინაშე არსებულ შიდა და გარე გამოწვევებს.

13. აუდიტორული საქმიანობით ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა

აუდიტორული საქმიანობით ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებლის გაზრდა სამსახურის ერთერთი გამოწვევაა. თუმცა აღნიშნული დაკავშირებულია ბევრ მცირებიუჯეტიანი ობიექტების აუდიტთან, რაც დამატებით აუდიტორულ რესურსს მოითხოვს.

14. კვალიფიკაციური თანამშრომლების მოზიდვა შენარჩუნება

სამსახურის უმთავრეს ინტელექტუალურ რესურსს პროფესიული კადრები შეადგენს. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას IT აუდიტორის შემთხვევაში.

15. რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი

საჯარო მმართველობის გაუმჯობესების და მოქალაქეებისათვის ღირებულების შექმნისთვის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს. სარგებელი გამოიხატება შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობაში, რაც დღემდე გამოწვევად რჩება. პერსპექტივაში დაგეგმილია რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: გიორგი ბაღათურია

21.01.2026 წელი